# საქართველოს თავდაცვის მინისტრის

## ბრძანება №12
## 2014 წლის 6 მარტი

## ქ. თბილისი

## ,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 ივნისის N448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 ივნისის №448 ბრძანებით (სსმ III 24.06.2009, №77, მუხ. 838) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის:**

ა) ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) სამეთაურო რგოლთან პიროვნებათშორისი ურთიერთობების, მართვის, სუიციდის რისკისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ტრენინგების ორგანიზება/ ჩატარებას;";

გ) ,,ნ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) ,,ო" და ,,პ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) შეიარაღებულ ძალებში ინსტრუქტორთა შერჩევასა და მათ ტრენირებაში მონაწილეობას;

პ) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავებასა და იმპლემენტაციის ზედამხედველობას;".

**2. მე-14 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს ,,რ", ,,ს", ,,ტ" და ,,უ" ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:**

,,რ) სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევისა და რაციონალური გადანაწილების მიზნით, ფსიქოლოგიური ტესტირებისა და ინტერვიუირების საფუძველზე, ფსიქოლოგიური დახასიათებების შედგენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

ს) შესაბამის სასწავლო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, ახალი საკვლევი ინსტრუმენტების შემუშავების და ფსიქოლოგიაში თანამედროვე მიღწევების გაზიარების მიზნით;

ტ) შეიარაღებულ ძალებში ღირებულებათა სისტემის კვლევის ჩატარებას, ანალიზს და რეკომენდაციების მომზადებას;

უ) სამხედრო მოსამსახურეთა/სამოქალაქო პერსონალის სამსახურებრივი მოტივაციის შესწავლა/შეფასებას და მოტივაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარებას.".

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი** **ირაკლი ალასანია**